



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
სხდომის ოქმი № 4/ 2017

თბილისი

30 ნოემბერი 2017 წ.

სხდომის დაწყების დრო: 16.30

სხდომის დასრულების დრო: 17.30

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ლელა ნადიბაიძე (სამართლის ფაკულტეტი);
2. დავით გეფერიძე (სამართლის ფაკულტეტი);
3. ნატო გეგენავა (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
4. ნოდარ გრძელიშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
5. სერგო ციციხვაია (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
6. ნინო ორმოცაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
7. ირინე კალანდაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
8. ვლადიმერ ხუტაშვილი (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
9. მათა ალაია (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
10. კახა კვაშილავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
11. ინგა მორგოშია (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
12. იაგო შაკაია (სამართლის ფაკულტეტი);
13. თათია სარიშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
14. ზოია ენგოიანი (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
15. ლანა ხმელიძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
16. ხატია ფარულავა (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
17. ნანა ბარნაბიშვილი (თჰუ ბიბლიოთეკის უფროსი).

აგრეთვე,

პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე - რექტორი, დამფუძნებელი;

პარტნიორი - ვალერი მუხიგულაშვილი;

პროფესორი კახი ყურაშვილი - პრორექტორი;

ქვორუმი: 10

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ელენე ნიკოზაძე

სხდომის მდივანი: ასოც. პროფ. დავით გეფერიძე;

დღის წესრიგი:

1. თჰუ დებულების მოდიფიცირების თაობაზე (მომხ. პროფ. ე. ნიკოზაძე);
2. ადმინისტრაციის (ადმინისტრაციული სამსახურის) დებულების მოდიფიცირების თაობაზე (მომხს. პროფ. ე. ნიკოზაძე);

1. მოისმინეს:

პროფ. ელენე ნიკობაძის ინფორმაცია, რომ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №10 გადაწყვეტილების თანახმად, თქუ დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილებები. მოდიფიცირებული დებულების პროექტი დანართი 1-ის სახით დასამტკიცებლად წარმოდგინეს წარმომადგენლობით საბჭოს. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო (წაკითხა) რედაქტირებული მუხლები (პუნქტები, ქვეპუნქტები).

აზრი გამოთქვა: პროფ. ვ. საყვარელიძემ, როგორც დამფუძნებელ-პარტნიორმა, რომელმაც მხარი დაუჭრა მოდიფიცირებული თქუ დებულების (მეორე რედაქცია) განახლებულ პროექტს და განაცხადა, რომ თანახმა არის დამტკიცდეს თქუ დებულება წარმოდგენილი სახით. დებულების წარმოდგენილი სახით დამტკიცებას მხარი დაუჭირა მეორე დამფუძნებელ-პარტნიორმა ვალერიან მუხიგულაშვილმაც.

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცებულ იქნას თქუ დებულება (მეორე რედაქცია) დანართი N1-ს სახით;
2. წარედგინოს აღნიშნული დებულება პარტნიორთა კრებას შესათანხმებლად, ეთხოვოს თქუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თქუ ვებ-გვერდზე.

2. მოისმინეს:

პროფ. ელენე ნიკობაძის ინფორმაცია, რომ ახალი განახლებული სამართლებრივი რეგულაციების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიზანშეწონილია შეიცვალოს თქუ ადმინისტრაციის (ადმინისტრაციული სამსახურის) დებულება. კერძოდ:

2.1. შევიდეს ცვლილებები საქმიანობის მიმართულებებში (მუხლი 3), დარედაქტირდეს „გ“ ქვეპუნქტის სათაური შემდეგნაირად: „გ) საერთაშორისო ურთიერთობები და უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერა;“, ამავე მუხლს დაემატოს „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები: „ი) კარიერული განვითარება და სტუდენტური მხარდაჭერა“, „კ) სამეცნიერო კვლევები“;

2.2. დაემატოს მუხლ 11-ს პუნქტი „პ“ „არქივის წარმოებისათვის თქუ ადმინისტრაციაში ინიშნება არქივარიუსი (არქივის გამგე)“;

2.3. დაემატოს მუხლი 11¹ - კარიერული განვითარება და სტუდენტური მხარდაჭერა;

2.4. დაემატოს მუხლი 11² - სამეცნიერო კვლევები.

ე. ნიკობაძემ ასევე აღნიშნა, რომ ამ ცვლილებების შესაბამისად მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილებები თქუ საშტატო განრიგში. კერძოდ, დაემატოს შემდეგი თანამდებობები:

- ა) საერთაშორისო ურთიერთობებისა და უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერის მენეჯერი;
- ბ) კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერი მენეჯერი;
- გ) სამეცნიერო კვლევების კოორდინატორი;
- დ) არქივარიუსი.

11² მუხლის შესაბამისად, სამეცნიერო კვლევების წარმართვისა და მხარდაჭერისათვის, ასევე საჭიროა შეიქმნას სამეცნიერო კვლევების საბჭო, რომლის შემადგენლობაში იქნება 7 წევრი (თქუ რექტორი, საბჭოს თავმჯდომარე, თქუ თითოეული ფაკულტეტიდან თითო პროფესორი და ორი სტუდენტი, რომლებსაც წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობა). მომხსენებელმა დასამტკიცებლად წარმოადგინა და კენჭისყრაზე დააყენა მოდიფიცირებული თქუ ადმინისტრაციის სამსახურის დებულების პროექტი დანართი 2-ის სახით, რომლის შესაბამისად, ასევე შეიცვლება თქუ საშტატო განრიგი ზემოთ მოცემული სახით.

აზრი გამოთქვა: ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვ. მუხიგულაშვილმა, პროფ. კ. ყურაშვილმა და პროფ. ვ. საყვარელიძემ

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის (ადმინისტრაციული სამსახურის) მოდიფიცირებული დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი N2);
2. ეთხოვოს თჰუ რექტორს:
 - 2.1. საშტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანა და შემდეგი საშტატო ერთეულების დამატება:
 - ა) საერთაშორისო ურთიერთობებისა და უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერის მენეჯერი;
 - ბ) კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მენეჯერი;
 - გ) სამეცნიერო კვლევების კოორდინატორი;
 - დ) არქივარიუსი.
 - 2.2. კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის განყოფილების დებულების დამტკიცება;
 - 2.3. სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის რეგლამენტის დამტკიცება და სამეცნიერო კვლევების საბჭოს შემადგენლობის ფორმირება;
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.

თავმჯდომარე:

მდივანი:



ე. ნიკოზაძე

დ. გეფერიძე